



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 71
2022 წლის 21 აპრილი
ქ. თბილისი

2022 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში
გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, „2022 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 4 თებერვლის N16 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, სამსახურებრივი ბარათის (N413798; 21.04.2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2022 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:
 - ა) კომბინირებული ღონისძიებებისათვის ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
 - ბ) კონფერენციებისათვის ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
 - გ) სეზონური სკოლები ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.


2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა გამარჯვებული პროექტების წარმდგენებმა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) არაუგვიანეს 2022 წლის 13 მაისისა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საქართველოში რეგისტრირებული წამყვანი და თანამონაწილე ა(ა)იპ-ის და უსდ-ს ორგანიზაციის შემთხვევაში მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის ცალკე გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში რეგისტრირებულ წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებს არ გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 31 მაისისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ჯაბა სამუშია



კომბინირებული ღონისძიებები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია
1	MG-ISE-22-330	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საერთაშორისო სკოლა და კონფერენცია ფუნქციურ მასალებზე თანამედროვე ტექნოლოგიებში	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	MG-ISE-22-368	საქართველოს არელოგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაცია	საერთაშორისო სკოლა-კონფერენციის „ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის XI ეროვნული კონგრესი“; „I საერთაშორისო კონგრესი „კორონავირუსული ინფექცია (COVID-19), პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და რეაბილიტაცია“; „მოლეკულური ალერგოლოგია და ვაქცინაცია“ ორგანიზება.	
3	MG-ISE-22-118	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმი და სკოლა "თავის ტვინი და ნეიროპლასტიურობა: სტრუქტურული და მოლეკულური ასპექტები"	სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი